იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 36 „22" „იანვარი" 2021 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ვ" ქვეპუნქტებისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი იურიდიული დახმარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2017 წლის 26 სექტემბრის N53 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებაში" და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრებია:

3.1. თბილისის, მცხეთის, თელავის, სიღნაღის, რუსთავის, გორის, ახალციხის, ზესტაფონის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ბათუმისა და ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროები;

3.2. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა იურიდიული დახმარების ბიურო;

3.3. ამბროლაურის, ახალქალაქის, წალკის, მარნეულის, მესტიის, საჩხერის, დუისის, ცაგერის, ყაზბეგის, დმანისის, მარტვილის, შუახევის, ხაშურის, ბორჯომის, წალენჯიხის, ახმეტის, წყალტუბოს, ტყიბულის, დედოფლისწყაროს, ჭიათურის, ხობის, აბაშის, ონის, გარდაბნის, ბოლნისის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის, ხარაგაულის, დუშეთის,

ბაღდათის, ქარელის, გურჯაანის, თიანეთის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს, სენაკის, სამტრედიის, ადიგენის, ხონის, ჩოხატაურის, ლენტეხის, ქობულეთის, ყვარლის, ასპინძის, ქედას, ხულოს, ვანის, ლანჩხუთის, საგარეჯოსა და კასპის საკონსულტაციო ცენტრები;

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

თამარ გვარამაძე

ესმა ნორაკია

პავლე აბაიაძე

სოფო ჩაჩავა

ირაკლი გვარამაძე